საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 45 ნოემბერი **1 1898** წ. **№ 45**

შინაარსი: ყიფიანის და გელეიშვილის საქმე.— სხვა-და-სხვა ამბავი.— „კვალის“ კორესპონდენციები.— კვირიდან კვირამდე.— საზღვარ-გარეთ. — ახალი ტიპი ჩვენ ცხოვრებაში, კრიტიკული განხილვა (შემდეგი) ალ. წულუკიძისა.— ა. ხახანაშვილის ახალი წიგნი გ. წერეთლისა.— „ვცხოვრობთ“! ეტიუდი შ. არაგვისპირელისა. — წერილები რედაქციის მიმართ.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

№ X „ჯეჯილისა“ გამოვიდა და დაურიგდება ხელის მომწერლებს.

ყიფიანის და გელეიშვილის საქმე. *)

(წერილი ქუთაისიდან)

როგორც „კვალის“ მკითხველთ უკვე მოეხსენებათ სამსონ ყიფიანის და პეტრე გელეიშვილის საქმე გასულ კვირაში ოლქის სასამართლომ გაარჩია, მომრიგებელ-მოსამართლის განაჩენი ყიფიანის შესახებ გააუქმა და ბრალდებული გაამართლა. ამ საქმის გასაგებათ ურიგო არ იქნება გავიცნოთ მომრიგებელი მოსამართლის ის საბუთები, რომელზედაც მან ყიფიანის გამტყუნება დაამყარა. აი რას წერს ის თავის მოხსენებაში ოლქის სასამართლოს მიმართ ამ საქმის შესახებ: „....განვიხილე რა ამ საქმის გარემოებები და მოვისმინე რა მომჩივნის და მოპასუხეს ვექილების განმარტება, მე, მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობის ამსრულებელი, ვამბობ, რომ პ. გელეიშვილის შეურაცხყოფა, საჯაროთ მიყენებული სამსონ ყიფიანის მიერ მოქმედებით, სილის გარტყმით, ეჭვს გარეშეა, რადგანაც ეს პირდაპირ აღიარებულია ყველა მოწმებისაგან და ამას არ უარჰყოფს თვით ბრალდებულიც. აგრეთვე ეჭვს გარეშეა ისიც, რომ ყიფიანი თმაში წაავლინდა გელეიშვილს და, სტუდენტი ჯაყელის სიტყვით, ისე ძლიერათ დაუწყო წევა, რომ ამას არ შეეძლო არ აელელვებია გარეშე მაყურებელი. რადგანაც ასეთი ქცევა, როგორც თავისი ფორმით ისე თავისი მოქმედებით, ნათლათ ჰყოფს კაცის სურვილს ძალადობა მიაყენოს თავის მსხვერპლს (გადაწყვეტილება 1870 წ. № 517), უნდა დავასკვნათ რომ ყიფიანს თმაში წაფრენით ნდომებია უთუოთ ფიზიკური ტანჯვა მიეყენებია გელეიშვილისათვის და არა შეურაცხყოფა ან და ზიზღის გამოცხადება. ეს უკანასკნელი მან უკვე განახორციელა წინეთ სილის გარტყმით და მაშასადამე სრულებით საჭირო აღარ იყო თმაში წაფრენა და მიწევმოწევა. რადგანაც საჩივრის ქაღალდში დანაშაულობისთვის შეუფერებელი სახელ-წოდების მიცემა, და აგრეთვე კანონის შეუფერებელი მუხლების მოყვანა სავალდებულო არ არის სასამართლოს და მომჩივან-

*) ამ ნომრისთვის მომზადებული მოწინავე წერილი ვერ გამოდის... რედ.

კ. მარქსის ს.ს. საქ. სსრ
სახელმწიფო

მოპასუხეთათვის, და რადგანაც კერძო ბრალმდებელსაც კანონით არ აეკრძალევის სასამართლოში შეავსოს თავისი ბრალდება (46 მუხ. სისხლის სამარ. კანონ.; გადაწყვეტილება 1876 წ. № 252, 1874 წ. № 621 და სხ.), ეს მით უფრო, რომ ბრალდების შეცვლა და შევსება კანონით შესაძლებელია არა მარტო შედარებით ასეთ მსუბუქ საქმეებში, არამედ ისეთ მძიმე საქმეებშიაც, რომელნიც უფლებების ჩამორთმევით ბოლოვდებიან (752 და 753 მუხ. სისხლი სამარ. კანონ. და გადაწყ. 1868 წ. № 695), ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ ყიფიანის სამართალში მიცემა, სისხლის სამართლის კანონ. მე-142 მუხლის ძალით, სრულიად საბუთიანია. რაც შეეხება იმას, თუ რამდენათ პატივსადებია მოპასუხეს ჩვენება, ვითომ მისთვის გელეიშვილსაც შეურაცხყოფა მიეყენებიოს და მისი შუამდგომლობა საქმე განხილულ იქმნას სისხლის სამართლის მე-138 მუხლის ძალითო, ამაზე უნდა შევნიშნოთ შემდეგი: პირველათ, ყიფიანის სრულიად სასჯელისაგან განთავისუფლებაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება. მისი დანაშაულობა იმ მოქმედებაში, რომელიც მე-142 მუხლშია მოხსენებული, დამტკიცებულია და ამას მე-138 მუხლი სრულებით არ უდგება; და მეორეთ, ესეც რომ არ იყოს, ამის ერთმანეთის შეურაცხყოფათ დასახვა (взаимность обидъ) მაინც ყოველსავე საფუძველს მოკლებული იქნებოდა. და მართლაც, ბრალდებული ამტკიცებს, რომ მას გელეიშვილმა ორნაირი შეურაცხყოფა მიაყენა: მოქმედებით—ხელი სტაცა გულზე და წვერებში, და კიდევ ჯოხი გაიქნია, და სიტყვით—შეურაცხმყოფელი სიტყვები მითხრაო. პირველს, გულზე და წვერებში ხელის ტაცებას, ამოწმებს მხოლოთ ორი პირი, წერეთელი და კანდელაკი, მარა ამათი ჩვენება მოკლებულია ყოველივე ნდობას არა მარტო იმისთვის, რომ ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან (ერთი ამბობს გელეიშვილმა გულზე სტაცა ხელიო, მეორე კი წვერზეო), არამედ იმიტომაც, რომ ამას გადაჭრით უარჰყოფენ ყველა იქ დამსწრე მოწმები: ეს არ უნახავს არც ბაქრაძეს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ამ შემთხვევაში, არც დურგალ გოცაძეს (მოპასუხის მოწმე), რომლის კარებთან მოხდა ეს საქმე, არც სტუდენტ მეფისოვს, რომლის აზრით, ამ გარემოების დაუნახაობა ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა, რომ მართლა მომხდარიყო. თუ მივიღებთ მხედველობაში ამ მოწმეთთა ჩვენებას შესახებ იმისა, რომ დარტყმამდი რაღაც შელაპარაკება გაუგონიათ, ცხადია ისინი იმათთან ახლოს მდგარან, მაშინ როდესაც კანდელაკის იქ ყოფნას პირდაპირ უარსჰყოფს არა მარტო სტუდენტი ჯაყელი, არამედ ბაქრაძე და მეფისოვიც. ესენი ამტკიცებენ, რომ არც ლაპარაკის დროს და არც შეტაკების გათავებამდი იქ არავინ არ ყოფილა ამათ და ერთ ჩოხიანს (გოცაძე) გარდა. მაშასადამე, ყოველივე ეჭვს გარეშეა ის, რომ გელეიშვილს ყიფიანისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია მოქმედებით, ხოლო ჯოხის გაქნევა მოქმედებით შეურაცხყოფას კიდევ არ ნიშნავს. ეს მხოლოთ შეუგნებელი მოძრაობაა, რაიცა ინსტინქტიურათ იქმნა გამოწვეული ყიფიანის მოქმედებით და არავითარი კავშირი არ აქვს ყიფიანის განზრახ შეურაცხყოფასთან. უკიდურეს შემთხვევაში ეს მოქმედება შეიძლება მოასწავებდეს მხოლოთ შეურაცხყოფის სურვილს (покушеніе), რაც სრულიად არ ისჯება.—რაც შეეხება ყიფიანის სიტყვით შეურაცხყოფას გელეიშვილის მიერ, როგორც მაგ.: „ეს არ ეკადრება რიგიან კაცს, ეს არა-წმინდაო“ და სხ.—ეს არ შეიძლება ცნობილ იქმნას არც უფრო მძიმე და არც თანასწორათ იმ შეურაცხყოფისა, რომელიც გელეიშვილმა მიიღო; ეს მით უფრო, რომ თვით ყიფიანმა მიაყენა გელეიშვილს თითქმის ასეთივე შეურაცხყოფა სიტყვებით: „თქვენ ქუჩა-ქუჩა კრეფთ ჰორებსო“. ბრალდებულის შეურაცხყოფას შეიძლება ჰქონდეს მხოლოთ მისი დანაშაულობის შემამსუბუქებელი მნიშვნელობა.

„რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ დანაშაულობათათვის სასჯელის გადაწყვეტას, ამ შემთხვევაში სახეში უნდა მივიღოთ შემდეგი: ერთი მხრით, ყიფიანი, რომელმაც თავის თავს ნება მისცა საზოგადო მოედანზე ასეთი მხეცური ფიზიკური გასამართლება მოეხდინა (грубая физическая расправа), ღირსია უმაღლესი სასჯელის, განსაკუთრებით იმისთვის რომ მას განათლება მიუღია და როგორც პედაგოგი ვალდებულია თვითონ მან სხვებს ასწავლოს სიტყვით და საქმით ადამიანის პიროვნების პატივისცემა; ხოლო, მეორე მხრით, ამ სასჯელის შემცირებაზე არ შეიძლება არ იმოქმედოს იმ ელდლევებამ, რომელშ-აც ბრალდებული ჩავარდა გელეიშვილის შეურაცხყოფით (2 შენ. მე-13 მუხ. სასჯელთა კანონ. და გადაწყ. 1870 წ. № 68, დევოს საქმის შესახებ); ასე რომ მე სამართლიანათ მიმაჩნია დასჯილ იქმნას ყიფიანი საზოგადო ადგილზე ხელით შეურაცხყოფისათვის... სამი კვირით საპყრობილეში დატუსაღებით“.

ოლქის სასამართლოში განსაკუთრებით ყურადღება მიიქცია ყიფიანის ვექილმა ფალავამ თავისი გალაშქრებით სტუდენტების წინააღმდეგ. სტუდენტების მოწმობა სანდო არ არის, ისინი პარტიის ხალხია და ტყუილს იტყვიანო, ხოლო „სტოროჟი“ წერეთლის მოწმობა კი გაცილებით უფრო სარწმუნოაო. მარა რადგანაც წერეთელს ენისში რუსული არ ესმოდა, ხოლო ყიფიანს დ გელეიშვილს შორის შელაპარაკება რუსულათ მოხდა, ამიტომ მისი მოწმობაც

სტუდენტების მოწმობაზე უფრო სანდო ვერ უნდა ყოფილიყო, მარა აქ ფაღავამ სასამართლოს შემდეგი რუსულათ დაწერილი ქაღალდი წარუდგინა; „1898 წ. 13 ოქტომბერი. მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერელი, ვაძლევ ამ მოწმობას სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორს სამსონ ყიფიანს იმაში, რომ მე თუმცა რუსული ლაპარაკი არ ვიცი, მარა მესმის და ვწერ რუსულათ. ამ მოწმობას ვწერ და საკუთარ ხელს ვაწერ ალექსანდრე წერეთელი“. აი, როგორ უცებ უსწავლებიათ წერეთლისთვის რუსული წერა! გელეიშვილის ვექილს, დარწმუნებულს, რომ უთუოთ მოვიგებო, დიდი არაფერი ულაპარაკია. მას არც კი მოუნდომებია ბ. ლ. ლოლუას გადაყენება, რის მოთხოვა მას შეეძლო იმ საბუთით რომ მის წინაალმდეგ პ. გელეიშვილი „ახალ მიმოხ.“ წერდა და მაშასადამე ის გელეიშვილის პირადი მოწინააღმდეგე მსაჯული უნდა ყოფილიყო.

სხვა-და-სხვა ამბავი.

29 ოქტომბერს ხელი მოაწერეს ქალაქსა და უსახელო საზოგადოებას შორის დადებულ ხელშეკრულობას. ამ ხელშეკრულობის ძალით უსახელო საზოგადოება ვალდებულია გაიყვანოს შემდეგი ახალი შტოები: 1, დიდუბისა—მიხეილის ქუჩიდან დაწყებული დიდუბის ეკკლესიამდე. ეს შტო მუშტაიდზე გაივლის, ხოლო თუ მუშტაიდზე ნება არ დართეს, მაშინ ელისაბედის ქუჩაზე; 2, შუა ბაზრისა—ერევნის მოედანიდან სიონის ქუჩაზე ავლაბრის ხიდამდე, სადაც ორთა-ჭალის შტოს შეუერთდება; 3 ავლაბრისა—თათრის მეიდნიდან სირაჩხანისა, კახეთის მოედანსა და კახეთის ქუჩაზე გოგილოს აბანომდე; 4 ნათლუხისა—ავლაბრის ბოლოდან ნავთლუხზე საყასბომდე; 5, ეს შტო რკინის გზის სადგურიდან დაიწყება „ბულვარი“-ს, ელისაბედის, „სადოვოის“ და მიხეილის ქუჩებზე გაივლის და ვერის შტოს შეუერთდება; 6, სოლოლაკისა—ერევნის მოედნიდან სოლოლაკისა, ძველ-ინსტიტუტისა, ამალღების ქუჩებზე წყლის არხის ხიდამდე; 7 ვარდისუბნისა—ოლგას ქუჩიდან წყნეთის ქუჩაზე საუფლისწულო უწყების სარდაფამდე და 8, ორთაჭალის შტო გაგრძელებული იქნება თაიროვისა და ალიხანოვის ქარხანამდე. ელექტრონის ძალა ცხენის რკინის გზის აწ არსებულ შტოებზე უნდა შემოღებულ იქნას ორ წელს შემდეგ, ხოლო ახალ შტოებზე სამ წელს შემდეგ.

საზოგადოება მოვალეა მისცეს ყოველ წლივ ქალაქის „თვით-მმართველობას 150 მუქთი ბილეთი ცხენის რკინის გზით სასიარულოთ. ვერის ხიდზე გავლელ თითო ვაგონზე საზოგადოებამ უნდა გადიხადოს 5 კაპ. ფასი იმ გზებზე, რომელიც ახლა არის, იგივე დარჩება, ვარდის-უბანის გზით გავლა ეღირება 3 კაპ. მუშტაიდიდან ან ბულვარდისა და ელისაბედის ქუჩების კუთხიდან დიდუბის გზაზე 3 კაპ. ერევნის მოედნიდან შუაბაზარზე, თათრის მოედნამდე 5 კაპ. ამ მოედნიან ავლაბრის გზით 5 კაპ., საყასბომდე 5 კაპ., ერევნის მოედნიდან სოლოლაკის გზით 5 კაპ. ბავშვს 5 წლამდე ბილეთის ფასი არ გადახდება, ხოლო იმ პირობით, რომ ფეხზე იდგეს. გარდა ამისა ქალაქს ნება ეძლევა „საზოგადოების“ შემოსავალის რაოდენობა განიხილოს, უმთავრეს დავთრებს თვითონ გაუყაროს ზონარი და ბეჭედი დაასვას, ხოლო ათი წლის შემდეგ გაეცნოს ყველა საანგარიშო წიგნებს, გასამართლებულ საბუთებს და სხ. ხელ-შეკრულობის ვადათ დადებულ იქმნა 32 წელიწადი, გამოყიდვის ნება ქალაქს 15 წელს შემდეგ აქვს. ქალაქის სასარგებლოთ უსახელო საზოგადოება ვალდებულია იხადოს: პირველ წელს 15,000 მანეთზე არა ნაკლებ, მეორე და მესამე წელს 30,000 მანეთი წელიწადში, შემდეგ ხუთ წელიწადს შემოსავლის $5^{0}/_{0}$, მეორე ხუთ წელიწადს $5^{1}/_{2}{}^{0}/_{0}$, ასე რომ კონცესიის ბოლო წელიწადებში გადასახადის რაოდენობამ $9^{0}/_{0}$-მდე უნდა მიაღწიოს.

—

ბათომის საბჭოს დამატებითი არჩევანი დანიშნულია 8 ნოემბრისთვის.

—

როგორც გავიგეთ მთავარმართებლის მიერ დანიშნულ რევიზიას უკვე დაუთვალიერებია ქალაქის ნაყიდი ვაგონები და ცხენები. ვაგონებში აღმოუჩენია ორი მცირე ნაკლულევანება, რის გასწორება ადვილია, ხოლო ცხენების ორი წილი დაუწუნებია. ამ ქამათ წარმოებს ქალაქის სანიტარული ნაწილის რევიზია.

—

კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ მთავარმართებლის კანცელარიას წარუდგინა მოხსენება შესახებ ახალ-ახალი გზების გაკეთებისა და მიმოსვლის გაუმჯობესობისა. მოხსენებაში ნათქვამია, რომ უკეთესი იქნებოდა სოფელს გზის საკეთებელი ფული გადახდეს და არა თვითონ ხალხი გამოჰყავდეთ სამუშაოთო, თვითოეულ გუბერნიაში უნდა შედგეს გზების განსაკუთრებითი კომიტეტი, გუბერნატორის თავმჯდომარეობით, მრეწველთა, მემამულეთა და გადასახადების ინსპექტორებთაგანაო.

—

ოზურგეთის შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ

ადგილობრივი სამოქალაქო სასწავლებელი სამეურნეო სასწავლებლათ იქმნას გადაკეთებულიო, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა არ შეიწყნარა. მიზეზათ ასახელებს იმას, რომ სამეურნეო განათლებას ძალიან ცოტა ხალხი ეტანებაო.

—

ერთი შვეიცის კომპანია შუამდგომლობს ნება დართონ სოხუმში პრობკის პლანტაციების დაარსებისა.

—

ხელმწიფე იმპერატორმა უკვე დაამტკიცა ახალი კომპანია ამ ფირმით: „უსახელო საზოგადოება ნავთის და სხვა მინერალების მომნახველი და მწარმოებელი გურიაში“. საზოგადოება შედგება ბელგიის კაპიტალისტებისაგან.

—

სოხუმის ვაჭრებს განუზრახავთ დაარსონ საკრედიტო დაწესებულება.

—

ქვემო-ქიზიყიდან გვწერენ: წელს აქ ძალიან ნაკლებათ მოვიდა ღვინის მოსავალი, რადგანაც ქვემო-ქიზიყელებმა მხოლოთ დღეს იწამეს ვაზის წამლობა და ახლა ბევრს ნანობენ: რა ღმერთი გაგვიწყრა, რატომ ჩვენც არ ეუწამლეთო. სულადის მოსავალი კარგი იყო, კაი თასშიაც დაანაღდეს დროზე, რის გამოც ამ შემოდგომაზე იმოდენა რკინის გუთნების მოთხოვნილებამ იჩინა თავი, რომ ორი პროცენტიც ძლივს დაკმაყოფილეს ვაჭრებმა მსყიდველებისა, 98%-ტი კი დარჩა ურკინის გუთნოთ, რადგანაც თფილისშიაც ალარა ჰქონდათ საკმარისი გუთნები აუფერმანს და კრაუზეს, რომელნიც თითო გუთანში 7 – 8 მანათს ვაჭრებისაგან იგებენ, და კერძო ვაჭრები კიდევ როკორც უნდათ ისე ჰყიდიან მხვნელ-მთესველ გლეხებზე. წელს სიღნაღის მაზრაში უკანასკნელათ გაიყიდებოდა 100,000 მანათის გუთანი, რომ ყოფილიყო. დიდათ სასურველია ამ საგულისხმო ამბავს ყურადღება მიაქციოს ჩვენმა საიმპერატორო-სამეურნეო საზოგადოებამ, გამოიწეროს პირველი ხელიდან საუკეთესო სისტემის გუთნები, ჰყიდოს სიღნაღის მაზრაში ბ-ნ გუბერნატორისაგან ახლათ დაარსებულ ვენახის წამლების საწყობებში და ამ რიგათ წაუმართოს ხელი ბეჩავ-უპატრონო ხალხის მეურნეობას და დაიხსნას იგი, როგორც ცუდი სისტემის გუთნების მამა-სისხლათ ყიდვისაგან, ისეც გუთნების ნაკლებობისაგან. თუ ხალხის ამ საჭიროებას ყურად იღებს ხსენებული საზოგადოება, ახლავე უნდა შეუდგეს ცდას და გამართოს მიწერ-მოწერა საზღვარგარეთ გუთნის მექარხნეებთან, რადგანაც სიღნაღის მაზრაში ოთხის თვის შემდეგ, მომავალ წლის თებერვალში, უფრო დიდძალი რკინის გუთნების მოთხოვნილება იქნება საგაზაფხულოთ.

—

ბაქო-ბალახანიდან გვატყობინებენ, იქაურ ნავთის მწარმოებელს, ბენკენდორფს, საკუთარ კლუბის ზალაში დაუწყია სახალხო კითხვების გამართვა ბუნდოვან სურათებით. წასულ კვირას მეოთხეჯერ წაუკითხავთ ლექცია. ამავე ბენკენდორფის კლუბშია გამართული „ტექნიკური კურსებიც“, რომელზედაც ჯერ-ჯეროობით მარტო ხატვას ასწავლიან, მომეტებულათ მუშებს. კურსებზე დადის მარტო ამ ფირმის მუშები, ხოლო სახალხო კითხვებზე კი ყველას შეუძლია დასწრება. ეს ერთათ ერთი ფირმაა, რომელიც ცდილობს ევროპიულ ნიადაგზე დააყენოს მუშების მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმე.

—

იქიდანვე გვატყობინებენ, რომ კნეინა ა. დ. გაგარინის პრომისლები უყიდია „აზოვსკო დონსკოის“ ბანკს 2,000,000 მ. ამბობენ „თფილისის ამხანაგობის“ და თ. ამილახვარის პრომისლებიც მალე გაიყიდებაო.

—

იქიდანვე: „ნავ. მწარმოებელთა სიეზდის“ ოქტომბრის თვის ცნობებიდან ჩანს, რომ მარიამობის თვეში ამოუღიათ ნავთი მთელ პრომისლებზე 36, 827,241 ფუთი; იანვრის თვიდან კი დღემდე — 320, 279,448 ფ. პირველი ადგილი ამ წარმოებაში ეკუთვნის მანთაშოვს და კომპ., რომელსაც 4,967,806 ფ. ამოუღია., შემდეგ ძმ. ნობელს, რომელსაც, ამოუღია 4,880,461 ფ. და სხ. მთელი წლის განმავლობაში კი ყველაზე მეტი ნავთი ვიშაუს და კომპ. ამოუღია—47,581,675 ფ. რაც იმით აიხსნება, რომ მის ადგილებში თითქმის სულ ფანტანები სცემს. ნავთის ბაზარი ამ ხანებში უფრო გერმანია, საფრანგეთი და ინგლისი ყოფილა.

—

რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები: სურათებიანი ვეფხის ტყაოსანი ნამბობი მოზრდილ ყმაწვილებისთვის გ. იოსელიანისა, გამოცემა წერაკ. გამ. საზოგადოებისა გვერდი 87. ფასი 25 კაპ.

იუდა (ნადსონიდან) თარგ. ილია ფერაძისა გამოცემა ე. ხელაძისა, გვერდი 13 ფასი 3 კაპ.

უცხო მწერალთა ამბავნი და მოთხრობანი თარგმ. გრ. ყიფშიძისა გვერდი 79. ფასი 15 კაპ.

კრილოვის არაკები, თარგმანი აკაკისა, ფასი 30 კაპ.

—

ახლახან გამოვიდა ახალი წიგნი: „обзоръ Бакинской нефтяной промышленности за 1897 г. и краткія

свѣденія о неф. промыш. въ грозномъ и Америкѣ" რომელიც დიდ მასალას და ცნობებს შეიცავს, გარდა ნავთისა წარმოებისა, მუშების ცხოვრების შესახებაც.

„კვალის" კორესპონდენციები.

ქალაქი პიატიგორსკი. გავიდა ზაფხული, დადგა შემოდგომა და ჩვენ პიატიგორსკშიაც გამეფდა სამარისებური სიჩუმე. ბულვარში მუზიკა აღარ ისმის, ხალხი აღარ ირევა, სასტუმროები და სადგომი სახლები მომსვლელთათვის დაიკეტა, ზაფხულში სავაჭროთ მოსული ვაჭრებიც გაუდგენ გზას თავისი ბარგი ბარხანით. დარჩა აქაური მუდმივი მოვაჭრეები, მაგრამ იმათი ვაჭრობაც სულთ-მაბრძოლ ავათმყოფს წაავავს. აქ არ არსებობს არავითარი კაცის გამრთობი დაწესებულება; წიგნთ-საცავ-სამკითხველო, თეატრი და სხვა. ქუჩებში მოძრაობა თითქმის შეწყვეტილია, თუმცა გაელაც რომ გინდოდეს, ძნელია, რადგან კისრამდის ტალახში უნდა იცურაო. საითაც გაიხედავ, ყოველგან სიჩუმე და სიჩუმე. ასეთ ფერს იღებს ხოლმე პიატიგორსკი ყოველ შემოდგომის დაწყებისათანავე, ესე იგი როცა იკეტება სამკურნალო წყლები და მიდიან წყლებზე საქიმოთ მოსულები.

პიატიგორსკში ითვლება თვრამეტი ათასი მცხოვრები. ეროვნებით, რუსები ყველაზე მეტია, შემდეგ სომხები და მცირედი რიცხვი ქართველებიც ქართველების მეტი ნაწილი მოვაჭრენი არიან, რომლებიც მატერიალურათ კარგს მდგომარეობაში იმყოფებიან, მაგრამ განათლების მხრივ კი ვერ შეუძლიათ, დაიკვეხონ. განათლებათ მარტო გადაგვარება მიაჩნიათ და კიდევაც შედგომიან გულმოდგინეთ ამ გზას. აქაური ქართველი მანდილოსნების შესახებაც შემიძლია მოგახსენოთ შემდეგი: იმათ ოჯახზე დ ქმარშვილზე ზრუნვა უკუ უგდიათ და შედგომიან ბანქობიას და ლოტოს თამაშობას. ამისთანებში დიდ გამჭრიახობას იჩენენ; საღამოობით აფრენენ აქა იქ მოსამსახურეებს საუწყებლათ, რომ იმ ღამეს ერთათ შეიკრიბონ. კი არ იფიქროთ რაიმე საზოგადო ან საოჯახო საქმისათვის ჰქონდეთ კრება. სრულიადაც არა. იმათი შეკრების საგანი არის ან ბანქოს, ან ლოტოს თამაშობა. ხშირათ კაცებიც კი მხურვალე მონაწილეობას იღებენ ამ საერთო გასართობ საქმეში. შედიხართ აქაური ქართველის ოჯახში დ თუ ან ახლო ნათესავი არ ხარ, ან ძალიან დაახლოვებული, არ შეგიშვებენ, ეს ძველებური კარჩაკეტილობის მინუშია.

ჟურნალ-გაზეთები თუმცა ზოგიერთი მოუდისთ, მაგრამ კითხვაზე მაინცა და მაინც თავს არ იმტვრევენ. მიზეზი ამისი მეტ ნაწილათ ის არის, რომ ხშირათ წერია შიგ კიცხვა ამათი მგზავსი ადამიანებისა. ასე და ამნაირ მდგომარეობაში არიან დღეს აქაური ქართველობა.

ჩ. მ—ძე.

ს. თლუღი (რაჭის მაზრა). ძლივს, როგორც იქნა მოვრჩით რთველს. ღვინით დატვირთულ ურმებს საყვარლათ გააქვს ჭრიალი. მეხრეებიც გულამაყათ მიერეკებიან ხარებს შინისკენ და სულ იმის ლაპარაკში არიან: არა შენ მოგვივიდა ბევრი ღვინო და არა მეო. მართლაც, მკითხველო, რომ ჩავერიოთ მათ ლაპარაკში და შევიტყოთ მათი მოსავლის ბედი, დავრწმუნდებით რომ საზოგადოთ წელს რაჭაში კარგი ღვინის მოსავალი არის. მაგრამ განა მარტო ღვინის მოსავალი შეუმსუბუქებს გლეხს საოჯახო და სხვა მოთხოვნილებებს? ორთა შუა რიცხვით—თითო გლეხს წელს სამოცი ფუთი ღვინო მოუვიდოდა, მაგრამ ეს სულ არაფერია აქაური ოჯახისთვის: სტუმართმოყვარე გლეხი თითო წვეულებაზე ოთხ-ხუთ ჩაფ ღვინოს ხარჯავს და ამგვარი წვეულება წლის განმავლობაში ძლიერ ბევრია. მარტო ღვინო ვერ დააკმაყოფილებს ვერც სტუმარს და ვერც მასპინძელს. აქ რამდენიმე წელიწადია, რაც სიმინდის მოსავალმა იკლო და ყოველ წელს საწყალი გლეხი, მიუხედავათ იმისა, რომ იგი დღე და ღამეს ასწორებს მუშაობაში, უნდა წავიდეს მოსავლიან კუთხეებში და იქიდან ვაივაგლახით უნდა მოათრიოს თავის წლის სარჩო. განსაკუთრებით თლუღში უსიმინდობა უმთავრეს როლის თამაშობს, მაგრამ ამით მაინც არ გატეხია თლუღელ გლეხს გული; მას კიდევ სხვა მრეწველობის დარგი აურჩევია თავის გაჭირვებული ოჯახის მისაშველებლათ; ეს გახლავთ ხურობა და მეკურტნეობა. თლუღელი გიორგობის თვის დამლევამდის სახლს არ შორდება; მიაკარ-მოაკარებს იქაურობას და მერმე სამუშაო იარაღით გასწევს გურია-სამეგრელოსკენ და თავის ერთგული მუშაობით საკმაო ფულს შოულობს. აი, ამ ფულით იგი ოჯახსაც აკმაყოფილებს და სახელმწიფო გადასახადსაც იხდის.

ი. ბელ—ი.

სოფ. ჯალირა—ზუგდიდის მაზრა. ეს სოფ. აკრავს ზუგდიდს 18 ვერსის მანძილზე. იგი გაშენებულია მთა-გორებზე და საცხოვრებლათ მეტათ ტანმრთელი ადგილია. როგორც სხვა სოფლებს, ამასაც თავისი ჭირ-ვარამი აქვს. სოფ. ჯალირა ეკუთნის კირცხის საზოგადოებას და ითვლება შიგ ოთხმოცამდე კომლი. ერთი გასაჭირთაგანი, რომელსაც ამ

სოფლის მცხოვრებლები ითმენენ, არის სიშორე მისი სოფ. კირცხზე, რომელიც რვა ვერსის მანძილზე ახლავს მას. ამ სოფელშია სასოფლო სასამართლო და ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლა. ამით სარგებლობს მარტო ორი სოფელი: კირცხი და სარაქინი; სკოლის ხარჯს კი, ძალაუნებურათ, ჯალირაც იხდის, თუმცა ჯალირლების შვილები იქ არ იზდებიან. არა ნაკლებ გაჭირებას ითმენენ გლეხებიც სოფლის სასამართლოს სიშორის გამო. იქ მისვლა-მოსვლაში სამი ოთხი დღე უცდებათ, რისგამოც აქაურმა მცხოვრებლებმა წინანდელი მაზრის უფროსის ბ. დადეშქელიანის დახმარებით ითხოვეს საგუბერნიო მმართველობასთან, ეს სოფელი გამოეყოთ კირცხიდან და მიეწერათ იქვე მახლობელ ს. ობუჯირასთვის, მაგრამ ეს შუამდგომლობა დღესაც დავიწყებას არის მიცემული. იმედია ახლანდელი მაზრის უფროსი განაახლებს ამ შუამდგომლობას და დაიხსნის ჯალირელებს ამდენის ხნის განსაცდელისა და უბრალოთ დროს დაკარგვისაგან...

სკოლის და სასოფლო სასამართლოს სიშორესთან ერთათ ჯალირელები შეწუხებულნი არიან მოძღვრის სიშორითაც. აქაური მოძღვარი თავის სამრევლოზე 12 ვერსის სიშორეზე ცხოვრებს, რის ნება მას, რამდენათაც ვიცით, სასულიერო მთავრობის კანონის ძალით არ უნდა ჰქონდეს; ის ხუთი ვერსის მეტს ვერ დაშორდება თავის სამწყსოს. ამიტომ კვირაში ერთხელ თუ ინახულებს თავის მრევლს, თორემ სხვა დროს იგი მცხოვრებლებს საძებრათ ჰყავსთ, რისგამოც უზიარებლათ სიკვდილი აქ ხშირია და როდესაც საჭიროა მეზობელ სოფლების ღვდლებს ემუდარებიან აქაური მცხოვრებლები.

ეს ორი წელიწადია ადკილობრივმა ბლაღოჩინმა შენგელიამ დიდი მეცადინეობით დაგვიარსა სამრევლო სკოლა, რომლის შემწეობით აქაური გლეხები იმედობდენ, რომ მათი შვილები თითო ოროლა ანბანს ისწავლიდენ და სხვა მეზობელ სოფლებს უკან არ ჩამორჩებოდენ, მაგრამ ბედმა ამ მხრითაც უმტყუნა ჩვენ სოფელს. სკოლას მისი პირდაპირი მზრუნველის წყალობით წამ-და უწუმ მასწავლებლები ეცვლებიან.

ს. ბოლქვაძე.

კვირიდან კვირამდე

აზნაურების ანდაზა.—ერთი ნასტუდენტარი სტუდენტების წინააღმდეგ.—ღირსი ღირსსა მოიძკის.—. დიდ კაცთან პატარა კაცსა, როდის გასვლია მართალი".—კიდევ კასსაცია.—ასე ყოფილა წესი...—ბ. უსტომსკი.

დიდება შენ ღმერთო! რა და რა ამბები არ მოხდება თურმე ამ ცოდვილ ქვეყანაზე! აბა ვინ მოიფიქრებდა, რომ ამ ჩვენ თფილის ქალაქს ამდენი პატრონი და ბატონი დაეხვევოდა. ათასი წლის განმავლობაში მას მთელი მილეთის ხალხი თოფ-იარაღით ესეოდა და მაინც ვერ ჩაიგდო ხელში, და ახლა კი ვილაცების, რომელთაც არც ხმალი უჭრით და არც ქარქაში, ყურმოჭრილ მონათ გამხდარა. ბედი კარზე მოგიგორდაო რომ იტყვიან ეს არის. ამ კაცებს ბედი ჰქონებიათ დ̃ რას ერჩი. მარა იწყინა ღმერთმა ეს და მათდა დასასჯელათ მეორე ბედის მაძიებელი მოავლინა: უკაცრავათ, მარტო თქვენ ვერ შეგარჩენთ ღვთის ულუფას, ცოტა მეც მერგებაო. დაჯდენ და, მოგეცათ სიცოცხლე, მრავალ ჟამიერ შემოსძახეს, მათი სიცილ ხარხარი ცასაც კი წვდებოდა. მარა აქ ამათ აუსრულდა აზნაურების ანდაზა: „ყაზახს რომ ჯორკოზე შემოიჯენ სულ ერთიანათ გადაგაგდებსო". მასპინძლებმა ეს სტუმარი სკამზე შემოისვეს. ამან მერე იჩოჩა, იჩოჩა დ̃ ერთ შვენიერ დღეს სკამიდან ყველა გადმოყარა და ზედ თვითონ გამაგრდა. და ასე დღეს ბატონნი ქალაქის მამები ქუჩა-ქუჩა ყრიან საჯაყ სანახავათ, ხოლო დიდი ბატონი რობი კი ისევ თავისუფლათ, წინანდებურათ დანავარდობს! აფერუმ! აკი მოგახსენეთ წინეთ ეს უთუოთ ბაყ-ბაყ მდევი უნდა იყოსო. არის და მეტია, არა?!. ერთმა მის ხმამ მთლათ შეანძრია თფილისი და მას დაემორჩილა ყოველი... ნეტავ ის სულ ცხონებული ყარამანი მაინც გვყავდეს!

* * *

ერთი სულ სხვანაირი ბაყ-ბაყ მდევი ქუთათურებს გამოჩენიათ. თფილისში თუ ფული ბატონობს, ქუთაისში სამაგიეროთ ენა დაკოტრიალობს. აქ ფულით ენა იყიდება, იქ ენით ფული იშოვება. და აი, ერთ „მაშოვართაგანს" შეუტრ-შემოუტრიალებია თავისი ენა და პირდაპირ გამოუცხადებია: რადგანაც მე დღეს ჩემ მტყუან კლიენტისაგან წითელ ქაღალდებს მოველი, ამისთვის მოსწავლე ახალგაზდობა სახლში შესაშვები არ არისო. რატომ; რისთვის? მიაყვირეს ამ ნასწავლ მოენიძეს. რატომ და როგორ გაბედეს და ჩემ მემუშტიკრივეს (ყიფიანს) ქება-დიდების მოწმობა არ მისცესო. და მართლაც, რატომ ქუთაისის სტუდენტობამ მუხლი არ მოიდრიკა ქუჩაში მოკრივე პედაგოგის წინაშე? უთუოთ ვერ მიხვდა, რომ ამით მის ვექილს „გასამრჯელო" მიემატებოდა, თვარა ასეთ უბრალოზე როგორ გაიწბილებდა. ისევ ღმერთმა უშველოს „სტოროჟებს", ამათ ცოდნიათ საწყალი კაცის განკითხვა და...

* * *

და მართლის მთქმელს ყბაში ჰკრესო—ნათქვამია. თუ კი ქუთათურ სტუდენტებს იქ მოახვედრეს

სილა, სადაც პასუხს ვერ გაცემდენ, სამაგიეროთ ოჩამჩირის ერთმა ვაჭარმა დიახაც რომ პასუხი მოთხოვა მის შეურაცხმყოფელს. ადგილობრივ პრისტავმა (უთუოთ ყიფიანის ნათესავი იქნება) გვარიან-გვარიანი სილა უთავაზე უდანაშაულო დავითაიას და კიდევ ზედ მეტათ სატუსაღოშიაც გაისტუმრა. რატომ, რისთვის? აი როგორ ხსნის ამას ეს დეგმირი სასამართლოს წინაშე: „დავითაია ქადაგობდა ოჩამჩირის სკოლის წინაალმდეგ. უნდოდა მისი ზედამხედველი ხორავა (უთუოთ იქაური აშორდია იქნება) იქიდან გამოედევნა და ქართულის სწავლება შეეტანა, რის შესახებ სხვებთან ერთათ გუბერნატორს თხოვნაც კი მისცა. ამას გარდა მეცადინეობდა ქართულ ენაზე ადგილობრივ ეკლესიაში წირვა ლოცვა ყოფილიყო. ერთი სიტყვით კეთილი საიმედო პირი არ იყოო... აი ოჩამჩირის წესები! ქართველს თურმე ქართულათ აღარც ლოცვა შეუძლია და აღარც წერა-კითხვა! და თუ გაბედე და ხმა ამოიღე, შენი მტრისას, ერთ შვენიერ დღეს ქუჩაში მიგბეგვენ და მერე სოხუმის საპყრობილეშიაც ამოგაყოფიებენ თავს. მარა თურმე ნუ იტყვით, ესეც მოჭორილი ყოფილა ბატონ პრისტავის მიერ, რის ქართული, რის აგიტაცია. დავითაიამ თურმე თავი არ დაუკრა და ამისთვის აუტეხა ამდენი დავიდარაბა. მადლობა ღმერთს, ამ ბოგდი-ხანსაც მიეზომა ის, რაც დაიმსახურა — სამი თვე-ნახევარი ციხე...

* * *

მარა ოჩამჩირეს თურმე თითო ასეთი ბოგდიხანი არასოდეს არ გამოელევა. ერთ ახირებულ ამბავს იწერება „ივერიაში“ იქაური კორესპონდენტი: აქ ყრილობასავით მოახდინეს და მოილაპარაკეს წიგნთ-საცავის დაარსებაზე. „აბრძანდა ჩვენი დიბის სახელი და დიდება და კეთილ-ინება ბრძანება გაეცა: მე ნებას ქრთავთ გამოიწეროთ ყველა ენაზე ჟურნალ-გაზეთები და სხ.... ერთმა ქართველმა ჰკითხა: ქართული გაზეთები ან ჟურნალები რამდენი გამოვიწეროთო? სსუ! ხმა გაკმინდე! აქედან-იქიდან შემოესმა საწყალს, ბატონი არ გააჯავროო. მაგრამ დახეთ ბედს, ბატონი კი არ გაჯავრებულა, არამედ გულ-ლმობიერათ ბრძანა, ერთს გაზეთს გამოგიწერთ, მხოლოთ ამაში რაც მე გიჩვენოთ ის წაიკითხეთო“ ასე და ამასა პირსა ზედა. რაც მე გიჩვენოთ ის არის ნება დართულიო! საბრალო ოჩამჩირლები! ესენი უთუოთ უწლოვანო არიან, თვარა ამდენ, აპეკუნობას ვინ გაუბედავდა. ასეა ამ წუთი სოფელში, „დიდკაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალი“!

* * *

და ან შეიძლება ეს მართალი ბათომლებს გაუვიდესთ? აქაურ ქართველებმა არჩევნები წააგეს. მაგიეროთ ახლა კასაცია გადაუტანიათ, წავაგეთ, მარა წავაგეთ უკანონოთო. ამბობენ ისეთი საჩივარია რომ ქვას გახეთქს, თვარა ბათომის, უამისოთაც დახეთქილ საარჩევნო ყუთებს, ხომ ერთიანათ დაამსხვრევესო. მაშ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბათომლებს კიდევ ექნებათ ერთი „დიდი დღე“, კიდევ დაიწყებენ კენჭების სროლას დატეხილ ყუთებში და ბოლოს კიდევ ისე აირ-დაირევა მართალი და უმართლო ერთმანერთში როგორც ახლა... მარა რა? თუნდაც ყოველ დღე ახალ-ახალი კენჭეს ყრა დანიშნონ, მაინც არა გამოვა რა, სანამ, რასაკვირველია, „დიაგნოზი ეოლსკის არის და ელიავას წამლობა“...

* * *

ან ნეტავ ვისი დიაგნოზით დაარიგეს ერთხელ ქუთაისში შეკრებილი ფული? შეიძლება არც კი იცოდეთ რა ფული? აი რა: ქუთაისში შედგა კომიტეტი წყალ-დიდობისგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ფულის მოსაგროვებლათ. სამი წელიწადი აგროვეს და რამდენსამე ათას მანეთს მოუყარეს თავი. და ბოლოს გამოცხადდა „დარიგდაო“. სად, როგორ, ვის მიერ — ეს ალლაჰმა უწყის. რასაკვირველია, დარიგება უფრო ადვილია, ვინემ შეკრება, მარა ამ ადვილ საქმის გარემოებაც რომ ისე გეცოდნოდა, როგორც ძნელის ცუდი არ იქნებოდა. შეკრების დროს ცას და ქვეყანას შესძერენ, დარიგების დროს კი ვერავინ ვერ გაიგებს. ალბათ ასე ყოფილა წესი და რიგი...

* * *

წესი და რიგი კაი ხანია იყო ძველ-სენაკის „მეაბრეშუმეთა ამხანაგობას“ კრება მოეხდინა და თავის თავის ავი და კარგი გაეგო. მარა კრების მოწვევა გამკის საქმე ყოფილა და გამგეც ისეთი ყოფილა, რომ პა, პა, პა... უკეთესი ღმერთმა შეინახოს. მისი სახელია... რა საჭიროა დასახელება, ძველ-სენაკში ვინ იქნება რისამე გამგე თუ არა სახელოვანი გამგე, და, როგორც ჩანს, ყველაფერს ერთნაირათ განაგებს, პარკს, სკოლას, ფულს და სხ. აი, რას იწერებიან იქიდან: „ძველ-სენაკში არსებობს მეაბრეშუმეთა ამხანაგობა, რომლის გამგე ბ. უ-ა. ამხანაგობის საქმეები როგორც სხვა ყველაფერი ძალიან აწეწილ-დაწეწილი აქვს, რამდენჯერ თხოვეს და კრებას არ ნიშნავს“... მერე რა არის აქ გასაკვირველი? გასაკვირველი, პირ იქით, ის იქნებოდა, რომ კრება დაენიშნა და საქმეებიც წეს-რიგში ჰქონებოდა.

ᲓᲠᲔᲘᲤᲣᲡᲘ.



ᲞᲘᲙᲐᲠᲘ.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. სექტემბრის თვეში ინგლისში 364,900 მუშა-ხალხმა იბრძოლა ქირის მომატებისათვის. ამათში 364,700 მოემატა, თითოს 28 კაპ. (7 პენსი) კვირაში, ხოლო 200 მუშას მოეკლო. ქირის მომატებას მხოლოდ 900 მიაღწია მუშაობის შეუჩერებლათ. დანარჩენებმა კი გაფიცვით აიძულეს პატრონები რომ დათანხმებულიყვენ. ამ მოძრაობაში ყველაზე მეტი მონაწილეობა მიიღეს მთა-მადნის მუშებმა, (რიცხვით 346,917.), შემდეგ რკინეულობის და მანქანების მუშებმა. ამავე თვეში ბრისტოლის შენობების 4370 მუშამ გაუფიცავათ შეიმოკლა სამუშაო დღე. ამ ჟამათ კვირეში 51 საათს მუშაობენ, დღის ქირა კი წინანდელი დარჩა.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. აგერ ერთი წელია მას შემდეგ, რაც მინისტრ-პრეზიდენტმა მელინმა პარლამენტში განაცხადა: დრეიფუსის საქმე არ არსებობსო! შემდეგ ყველა მინისტრი და ყველა ღენერალი საჯაროთ ფიცავდენ, დრეიფუსი კანონიერათ და სამართლიანათ დაისაჯაო. სამხედრო მინისტრმა ბენერალ ბილიომ თავისი პატიოსნებაც კი იმის თავდებათ წამოაყენა, რომ დრეიფუსი დანაშაულიაო. ერთი სიტყვით, ყველა, ვისაც კი ძალა, უფლება და სახელი ჰქონდა, დრეიფუსის დანაშაულობას ამტკიცებდენ. და ღღეს? ღღეს უმაღლესმა სამსჯავრომ გამოაცხადა, რომ ყველა ესენი ტყუიან, მართალს ამბობს მხოლოთ ის მცირე ჯგუფი თავდადებულთა, რომელიც დრეიფუსის სიმართლეს ღაღადებსო. როგორც სამსჯავროს მომხსენებელი, ისე სახემწიფოს პროკურორი დრეიფუსის დამცველათ გამოვიდენ. გამართლდა ზოლას წინასწარმეტყველება: La verité est en marche et rien ne l'arrétera—ჭეშმარიტება მოდის და მას ვერაფერი ვერ შეაყენებს!

— საფრანგეთმა ეს ერთი საშინაო მწვავე კითხვა თითქმის გადაჭრა, მარა მას მეორე კითხვა მოევლინა და მიიპყრო მისი ყურადღება. ის და ინგლისი კინაღამ ერთ პატარა კუთხისთვის ერთმანერთს დაეტაკენ. ამ სადაო კუთხეს ეწოდება ფაშოდა და მდებარეობს აღმოსავლეთ აფრიკის ახლოს, ერთ პაწია კუნძულზე. ფაშოდის პროვინცია შედგება 250 ათას მცხოვრებთაგან, რომელნიც მიწის შემუშავებას, საქონლის მოშენებას, ნადირობას და მეთევზეობას მიდევენ. ის დაიპყრო ეგვიპტის მთავრობამ 1864 წ. და მის სამფლობელოში ითვლებოდა. და რადგანაც ეგვიპეტს ინგლისი მფარველობს, ფაშოდიც ინგლისის საფარველს ქვეშ იყო. მარა ფაშოდის და სხვა პროვინციის მცხოვრებლები კაი ხანია წინ აღუდგენ ეგვიპტის უფროსობას და დამოუკიდებლობა მოიპოვეს. ინგლისის და ეგვიპტის ჯარები ამაოთ ებრძოდენ მათ 15 წლის განმავლობაში. 1886 წ. ხორტუმელებმა დაამარცხეს ინგლისის ჯარი და მოჰკლეს ინგლისელთა სარდალი. მას შემდეგ ინგლისი სულ ემზადებოდა იმათ დასასჯელათ. და წელს, როგორც იყო, ინგლის-ეგვიპტის შეერთებული ჯარი სერ კიჩენერის მეთაურობით შევიდა ხარტუმის პროვინციაში და აიღო ქალაქი ხარტუმი. აქედან 10 სექტემბერს გაემგზავრა ფაშოდაში და მისდა გასაკვირლათ, ნახა, რომ

უსარგებლოკარვ.

ფაშოდა დაუჭერია საფრანგეთის მაიორს მარშანი და საფრანგეთის ბაირაღიც აუფრიალებია. მარშანს კაი ხანია დაკარგულათ ითვლებოდა. ის გაემგზავრა ამ რამდენისამე წლის წინეთ აფრიკაში და ეს 18 თვეა ალარავითარი ამბავი არ მოდიოდა მისგან. ის და ოთხი საფრანგეთის აფიცარი ველურ ხალხებში მოემწყვდენ და იქიდან თავი ველარ დაალწიეს. მარა ისინი მათ ძალიან შეეწყვენ, შეადგინეს იმათგან ერთი პატარა ჯარი და ფაშოდაში დაბანაკდენ. მარშანს, რასაკვირველია, გაეხარდა ინგლისელთა მოსვლა, ამდენი ხანია თეთრი კაცი არ ენახა. კიჩნერმა მას აცნობა, რომ ფაშოდას ინგლისი ხელ-ახლა იპყრობს და თქვენ თქვენი ჯარით კუნძული დატოვეთო. მარშანმა უარი შეუთვალა, ჯარს არ გავიყვან, არც საფრანგეთის ბაირაღს ჩამოვიღებ, ხოლო თუ თქვენც შემოხვალთ ძალადობას არ გაგიწევთო. ეს ამბავი მოვიდა ევროპაში და შეიქმნა ერთი დავა საფრანგეთსა და ინგლისის მთავრობას შორის. ინგლისი თხოვს საფრანგეთს, მარშანს უბრძანე უკან წამოსვლაო, საფრანგეთი აქამდის ამბობდა, რომ ეს ჩვენი საქმე არ არის, მარშანი თავისით მოქმედებსო. ახლა, როგორც ტელეგრამმა იუწყება, სამინისტროს გადაუწყვეტია გამოვიწვიოთ მარშანიო. ამით აცილებულ იქმნა ეს არა-სანატრელი შეტაკება.

გერმანია. ბერლინსაც ჰყოლია ერთი ახირებული საბჭო. მას უნდა გადაეწყვიტა, ბერლინის საელექტრონო დაწესებულება, რაც დღეს კერძო კამპანიის ხელშია და ამ გაის ვადა უთავდება, ქალაქმა მიიღოს საწარმოებლათ თუ ისევ კომპანიას დარჩესო. კომპანია ქალაქს აძლევს წელიწადში 800 ათას მარკას. ხოლო თვითონ წმინდა მოგება რჩება ორი მილიონი მარკა. და აი, ეს ფულიც რომ ქალაქს რჩებოდეს, მოქალაქეთ, გადასახადები შეუმსუბუქდებოდათ. ამ წინადადებას უყარეს კენჭი და ხუთი ხმის უმეტესობით გადაწყვიტეს: დარჩეს ეს ისევ კამპანიის ხელშივე 1915 წლამდის და მასთან ახალი ხელშეკრულობით შევიდეთო. ასეთმა გადაწყვეტილებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მოწინავე პარტიებში და ორგანოებში. აი, რა თქვა ამის შესახებ საბჭოში ხმოსანმა ზინგერმა (სოციალ-დემოკრატია): „დღეს ბერლინის სხვა-და-სხვა საწარმოვო კომპანიები და საფინანსო დაწესებულებები მჭიდროთ დაკავშირებულია ერთმანერთთან. ისინი ერთი მეორის საქმეებში მონაწილეობას იღებენ. ამით მათი მთელი შეძლება, მთელი კაპიტალი ერთდება ქალაქ ბერლინის საზიანოთ. ეს კიდევ ცოტაა, ისინი თავის კაპიტალისტიურ ხელს აფათურებენ თვით ქალაქის გამგეობაშიაც, რომლის წევრთ თავიანთი ზედა-მხედველი კომიტეტის წევრათაც იწვევენ და ჩვენი არჩეული პირებიც კანონიერათ თელიან [illegible] იყონ და იქაც, რომლებთან ჩვენ ხელ-შეკრულობა უნდა შევკრათ! (ხმები: უყურეთ, უყურეთ! აღელვებაა). აი, ეს კაპიტალისტიური ბადე უნდა დაილეწოს. და რომ ამის დალეწვა აქ 1915 წლამდის გადადევს—ეს საუკეთესოთ მოწმობს იმ კლასიურ მართველობას, რომელსაც აქ კაპიტალიზმის სასარგებლოთ ამუშავებენ"...

— ამ ახლო ხანში მოხდება პრუსიის ქალაქთა წარმომადგენელების კონგრესი. პირველი ასეთი კონგრესი გაიმართა 1896 წ. ბერლინის მოწოდებით. წარმომადგენელს გზავნის ყველა ის ქალაქი, რომლის მცხოვრები 25 ათას გადაემეტება. 69 ასეთ ქალაქში, 64 წარმოდგენილი იყო კონგრესზე. კონგრესის საგანია ქალაქთა და მოქალაქეთა ინტერესის დაცვა საჭმელ-სასმლის გაიაფებით, სასწავლებლების გამრავლებით და გაუკეთესებით და სხ. იმათ გაილაშქრეს მაგ. აგრარიების წინაალმდეგ, რომელთა მიზანია პურის და ხორცის ძვირათ გაყიდვა სხვა-და-სხვა ბაჟების საშუალებით. კონგრესმა მთავრობას თხოვნა მიართვა და ურჩევდა ბაჟების შემცირებას, უცხო პურის და ხორცის თავისუფლათ შემოტანას და სხ. ერთი სიტყვით ქალაქთა კონგრესი სოფლის მემამულეთა წინაალმდეგ არის მიმართული და ეს ძალიან საჭიროა პრუსიაში, სადაც ასე ბატონობენ მემამულენი.

— მარა ამ მემამულეთ თანდათან აკლდებათ ძალა და გავლენა. ამ ჟამათ პრუსიაში ლანტაგის არჩევნები ხდება. როგორც ჩანს მემამულეთა პარტიას ათი ადგილი დაუკარგავს და შეუძენიათ ლიბერალებს. მათ წინაალმდეგ პროკლამაცია გამოსცეს იმათმა მომხრემ, პროფესორ დელბრიუკმა და რამდენიმე მაღალი წრის სამხედრო პირებმა. ესენი წერენ, რომ დღევანდელ კონსერვატიულ პარტიამ კაი ხანია დაკარგა ძველი კონსერვატორთა პროგრამმა და მხოლოთ პირადი სარგებლობის მაძიებელ პარტიათ გადაიქცა. ამიტომ გააშავეთ მისი კანდიდატებიო.

იტალია. ცნობილი პროფესორის ლომბროზოს ქალიშვილს, პოლას, სამი თვე ნახევრის ციხე გადაუწყვიტეს იმ წერილისათვის, რომელიც მან სოციალისტთა ორგანოში გამოაქვეყნა. წერილი დაწერილია ძლიერ მკაცრათ და იწვევს ხალხს თანამედროვე წყობილების დასარღვევათ.

ბაზარი. სიმინდი ღირს $70\frac{3}{4}$ კაპ. ფუთი, პარკის ფასები იგივეა.

ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში.

(შემდეგი) *)

(„ფირალი დავლამე" ლალიონისა. მოამბე 1895 წ. IV—V)

Აი რა ხელოვნებით გადმოგვცემს ავტორი ერთ ფსიხოლოგიურ მომენტს.

სადილის დროს ერთი სტუმართაგანი დაეკითხა ნიკოს:

— ერთი მოყვარე კაცი მყავს ბათომში, თუ იცნობ, ილიანე გ—ძე, ნეტაი რას შობა?

— რა უჭირს, ქია კარგათ,—მიუგო ნიკომ.

— მაგინი რეიზა არ იქნებიან კარგათ, თუ ღმერთი გწამს! ფული მაგენს არ აკლია, თეთრი და საქონელი, რა ენატრებიან ღვთის გაჩენილი! დაიწყო სამსონმა.

— ეხლანდელ დროში ფული ვისაც აქვს, კაცც იგია, დაემოწმა მასპინძელს მეორე სტუმარი

— ოჟო ცარიელი ფულიც აფერი არაა, თუ კაცი თვითონ არ ვარგა და პაწაი განათლება არ ახლავს! შენიშნა მესამემ.

— „ნეტქელი შენ უფულოთ გააკეთებ რასმე, კაი განათლებულიც რომ იყო?—თავმომწონეთ დაიწყო ნიკომ:—შეძლება თუ გაქ, განათლებულიც მაშინ ხარ; რავა, რას უძახი შენ განათლებას? იგი კაცი კას სვამს, კას სჭამს, კარგათ აცვია და ახურავს, მტერს რიგიანათ დაუხდება და მოყვარეს. ერთი სიტყვით, განათლებული ცხოვრება აქ, ფული რომ არ ქონდეს ამას ხომ ვერც ერთს ვერ იზამს? ბევრი ვიცი მე იმისთანა კაცი, რომ განათლებულათ მოაქვს თავი და მჭადი ქე ენატრება.

— აბა, მე გეტყვი შენ,—დაიწყო ივანემ ათრთოლებული ხმით:—კაცი თუ ჩამომავლობით ჯალაბია, იმას ვერც ფული მოარჯულებს და ვერც ვერაფერი. კისრამდი ოქროში რომ ჩასვა იმისთანა კაცი მაინც თავის ზნეს არ მეიშლის!

— კი მარა ამ ცალიერმა, გაფხეკილმა აზნაურშეილობამ რა მოუტანა ვინმეს? ვინ უყურებს ახლა ჩამომავლობას? რამდენია იმისთანა აზნაური, რომ მჭადს არ წაუტეხს კაცი, ორი კაპეიკიზა ცოლ-შეილს დააწინდრებს. კაი ხანია წავიდა უწინდელი დრონი! ახლა კაცი იგია, ვინც თვითონ ვარგა, ვისაც რამე გაჩნია; მარტუაი აზნაურიშეილობა სულ არაფერი არაა, იგი ტყვილათ არ თქვას ვინმემ!—ცხარობდა ნიკო.

ხედავთ, როგორი ანტაგონიზმია ამ ორ ქართველთა შორის. ერთი წუხს ძველი დროის დაკარგვას, ცდილობს წარსული დაიბრუნოს, ეჯავრება ყველაფერი, რაც მის დიდებას უარჰყოფს, ბრაზმორეული ამტკიცებს: „კაცი თუ ჩამომავლობით ჯალაბია იმას ვერც ფული მოარჯულებს და ვერც ვერაფერი", არ უნდა გამოტყდეს ხმა-მაღლა, რომ ჩამომავლობა სულ არაფერია, თუმცა „ყოველთვის და ყველგან გაბედული და შეუპოვარი სულ ულონობას, დამცირებასაც კი გრძნობდა", როდესაც ს. ტარაძისას ნიკოს მოელოდა: „ვინ იცის როგორ შეხედავს დღეს ნინო ნიკოს; იგი ხომ მდიდარი კაცია და ეცდება კიდევაც მოაწონოს თავი ყველასო", „საჩქაროთ ფული უნდა ვიშოვნო და მაშინ ყველაფერს ვიზამო", გაუელვა მას თავში უეცრათ. მეორე კი დაცინვით იხსენიებს წარსულს, წიხლს ჰკრავს იმას, რაც პირველისთვის წმიდათა წმიდაა, სიამოვნებით აღნიშნავს ახალი დროის უპირატესობას და თავმომწონეთ ღაღადებს: ამ ცარიელმა, გაფხეკილმა აზნაურშეილობამ რა მოუტანა ვინმეს? ვინ უყურებს ჩამომავლობას? რამდენია იმისთანა აზნაური, რომ მჭადს არ წაუტეხს კაცი, ორი კაპეიკიზა ცოლშეილს დააწინდრებს. კაი ხანია წავიდა უწინდელი დრო! ახლა კაცი იგია, ვისაც რამე გააჩნია". ივანესი და ნიკოს მორიგება შეუძლებელია, რადგან თვით ცხოვრებას გადაუმტერებია ერთი მეორესათვის. ერთია ძველი, ფეოდალური დროის წარმომადგენელი, მეორე—ახალი ფულის მეურნეობის ხანის შვილი; ერთია—რაინდი, მეორე—წვრილფეხა ბურჟუა, რომელიც გასხელ-ფეხებას, გადიდებას აპირებს. ამ ორ ტიპთა შორის მოურიგებელი ბრძოლაა გამართული. ივანე გრძნობს კიდეც თავის უძლურებას, სხვა ღონის ძიებას, ბოთლზე უფრო ბასრ იარაღს ეძებს, და ეს იარაღი, მისი აზრითაც, „ფულია!" მაგრამ, რაფერ შეიძინოს ეს იარაღი? მამას მიმართავს და ეუბნება: ნასახლევზე რომ მიწაა იგი უნდა გავყიდოთ. ახლა რომ ერთი ოც-და-ხუთი თუმანი არ ვიშოვნო არ იქნება, იმისთანა საქმე მაქვს.

— რა საქმეა ახლა იმისთანაი, ოჟო? აი, ადგილი ამასობაში ქე ჩაგვლია ხელში! საჭმელი ჭადი აღარ გვექნება, თვარა სხვას ვინ ჩივა!—სასოწარკვეთილებით შენიშნა გიორგიმ.

— მჭადი, თვარა გაგაკეთებს იგი მჭადი მე ვიცი! მეტი რაღა გინდა ქვეყანაზე! ღორმა კი ჩაახტეს ამისთანა სიცოცხლეს! ერთი თუმანი რომ გინდოდეს, იმას ვერ იშოვნი, ქვეყანა რომ დეიქცეს! წამოიძახა გაჯავრებულმა ივანემ.

ეს სიტყვები ივანეს დიდი ხნის მოგუბებული გრძნობაა. „მეტი რაღა გინდა ქვეყანაზედო",—ეუბნება იგი მშობელს: „ერთი თუმანი რომ გინდოდეს იმას ვერ იშოვნი": თითონვე გამოთქვამს თავის არა

*) იხ. „კვალი" № 44.

რაობას დღევანდელ ცხოვრებაში: ღრმა კი ჩააკტა ამისთანა სიცოცხლეს. ხედავს, რომ უიარაღობის გამო დამარცხება მოელის, თავის სატრფოს — ნინოს, რომელიც მისთვის მთელი სიცოცხლეა, თავი უნდა დაანებოს, თუ ფული ვერ იშოვნა. გაიგო საიდან აქვს ცხოვრების სალაროს შესავალი კარები, მაგრამ გასაღები კი არა ჩანს, ეძებს და ვერ პოულობს; ახალი იარაღის შესაძენათ ძველ იარაღს მიმართავს; ძალადობას. მკლავ-ღონიერობას ხმარობს, ავაზაკობას ჩადის და 80 თუმანს შოულობს. მე არ ვიცი სხვაფრივ, როგორ მოქცეულიყო ივანე? შრომას, ვაჭრობას შეუჩვეველი იგი კანონიერის ხერხით ვერას გახდებოდა; ეს რომ მოეხერხებია, მაშინ ივანე დაველაძე, როგორც წოდებრივი უძლურების წარმომადგენელი, აღარ იქნებოდა. ვაჭრობით იგი ვაჭარი გახდებოდა, მეორე წვრილ ფეხა ბურჟუა ამოუდგებოდა ნიკოს გვერდით. მაშასადამე ივანემ ერთათ ერთ საშუალებას მიმართა ფულის შოვნისათვის. დანაშაულს სასჯელი მოჰყვა, სასჯელს ფირალობა და ჩვენი გმირი სამუდამოთ მოწყდა ცხოვრებას. ივანეს ბრძოლა სუსტი, უნაყოფო, მხოლოთ უკანასკნელი გაბრძოლებაა მომაკვდავისა. სულ სხვანაირათ იბრძვის და მოქმედებს ნიკო კალაძე; დღევანდელი წეს-წყობილების შესაფერ იარაღს ხმარობს ცხოვრებაში. უეჭველია, ის იმარჯვებს და ავტორმა თუ ნიკო ფირალის მსხვერპლი გახადა, ეს ფაქტია, საზოგადო ცხოვრების შინაარსს დაშორებული. ჩვენის აზრით, ლალიონს, რომ ამ ორ ტიპთა შორის ბრძოლა, რომლითაც თითქმის იწყება მისი მოთხრობა, ბოლომდის ლოღიკურათ გაეტარებინა, არ აჰყოლოდა ფანტასტიურ გულის თქმას, არამედ ცხოვრებას ბოლოშიაც დაჰკითხებოდა, იგი ნიკოს არ მოაკვლევინებდა ივანეს. გამარჯვებას ბოლომდე ამ ახალ ტიპს შეარჩენდა. თუმცა აქ გამარჯვება მხოლოთ ფიზიკურია, მაგრამ მოთხრობა, რომელიც ამ ორ ტიპთა ბრძოლის დამახასიათებელია, იმით უნდა ბოლოვდებოდეს, რითაც თვით ცხოვრებაში ბოლოვდება. თუმც ამნაირი შემთხვევა შესაძლებელია, ხშირათაც ხდებოდეს, მხოლოთ იგი მაინც არ არის დღევანდელი ჩვენი საზოგადოების კლასსიური ბრძოლის დასკვნა; იგი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ნამდვილ სურათს არ წარმოადგენს.

მართლაც ვინ უნდა იყოს ეს ყოვლად ძლიერი ნიკო, რომელსაც ივანეს ბასრი ხანჯალიც კი ვერ უნდა ჰკლავდეს? ავხსნათ ეს საკვირველება.

უწინდელი ნატურალური მეურნეობა ფულის მეურნეობამ შეცვალა: საჭირო საგნის შესაძენათ, არსებითი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ „ფულია“ საჭირო. წინეთ, როდესაც მოთხოვნილება, კარჩაკეტილი ცხოვრების გამო, მეტათ მცირე, განსაზღვრული იყო, ყველა ოჯახშივე ნაწარმოებით იკმაყოფილებდა თავის საჭიროებას. არაფრისთვის გადაღმა გადასვლა არ ჭირდებოდათ. დღეს რა კი ძველი, პატრიარქალური წეს-წყობილება გართულდა, ყველაფერს თვითონ ვეღარ იმზადებენ, გადაღმა გადასვლა აუცილებელია, ბაზარი საყოველთაო მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი გახდა. ამ ხანაში ფულიც საჭირო ხდება, როგორც საყოველთაო საზომი საქონელი. „ლითონი“ ყველასათვის გამოსადეგი ნივთია, რადგან მით ყველაფრის შეძენა შეიძლება. ფული აუცილებელი ხდება იმ მეურნეობაში, სადაც საქონლის წარმოება დაიწყეს. იგი ყველასთვის კერპია, ყველა მისკენ მიისწრაფის, ყველა მის მოპოვებას ცდილობს, რომ ცხოვრება გაუჭირვებლათ გაატაროს. ამ სურვილს საზღვარი არა აქვს, იგი დღითი დღე მატულობს, მის დასაკმაყოფილებლათ ყოველნაირ საშუალებას იგონებენ. ზოგი ძალით ცდილობს ამას, ზოგი შრომით და ზოგი ხერხით, მოტყუებით. პირველს ეკუთვნის ივანე დაველაძე, მეორეს მწარმოებელი მუშა და მესამეს ნიკო კალაძე. უკანასკნელი ორი თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების ღვიძლი შვილებია, მხოლოთ პირველი „ნაშთი ძველის დიდების“, საზოგადო ცხოვრების ნადიმზე შეუფერებელი, უცხო სტუმარია; ცხოვრებას მისთვის გაუსწრია ბევრათ წინ, ის ჯერ კიდევ ძველ საზღვარს ვერ გადმოცილებია და უნებურათ უნდა დაივიწყოს წარსული ბატონობა. დინჯი სიარული სირბილათ უნდა შეცვალოს, თუ უნდა დღევანდელი ცხოვრების საზოგადო ფერხულში ჩაერიოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი დღეები დათვლილია, მისი არსებობა მეტათ ხან მოკლეა და „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, სადაც შობილა, გაზდილა იმ მხარეს სამუდამოთ უნდა გამოესალმოს.

ალ. წულუკიძე.

(შემდეგი იქნება)

ა. ს. ხახანაშვილის ახალი წიგნი

საქართველოს სიტყვიერების ისტორია, მეორე წიგნი: ძველი საქართველოს ლიტერატურა მეთორმეტე საუკუნის გასვლამდე.

Очерки по исторіи грузинской словесности, выпуск II. древняя литература XII в. москва 1897 г.

—

ეს მეორე წიგნია რუსულ ენაზე ბ-ნი ა. ს. ხახანაშვილის-მიერ შედგენილი, რომელიც დიდ სახელს უკეთებს საქართველოს ერს ევროპის განათლებულ

ქვეყნებში. აქამდის ევროპა სრულიად არ იცნობდა საქართველოს ერს. ბროსსეს შემდეგ თუმცა თითოოროლა მეცნიერს ჰქონდა გადაკითხული ფრანგულათ ნათარგმნი ქართული მატიანე, მაგრამ თვით ეს მატიანე რაღაც ზღაპარ-სიტყვაობათ მიაჩნდათ და იმ ხალხის არსებობაც მათთვის სათუოთ იყო, რომლის წარსული ისტორია ამ მატიანეში იკითხებოდა. ამ აზრის დასამტკიცებლათ საკმაო იქნება ერთი მაგალითიც, 1894 წელს ჟენევაში იყო ორიენტალისტთა კრება და იქ საერო წიგნთსაცავში მეცნიერებმა ნახეს საკვირველი ხელთნაწერი, რომელსაც ის-ნი განცვიფრებაში მოჰყავდა. ეს იყო ქართული დავითნი. როგორც კი ამოიკითხეს მისი ლათინური ზედწარწერა „გეორგიანუს" (georgianus), მაშინვე თურმე დაასკვნეს, რომ ეს ამერიკის შტატის გეორგიის ერის ნაწარმოები უნდა იყოსო. და ის კი ვერ წარმოედგინათ, საქართველოს ერი თუ სადმე იყო ქვეყანაზე, თუმცა კი თვალწინ იმის ენაზე დაწერილი დავითნი ედვათ.

ეს თუ ამ ხუთი და ათი წლის წინათ იყო შესაძლებელი ევროპაში, მაგიერათ დღეს შეუძლებელი და წარმოუდგენელია. მას შემდეგ რაც ა. ს. ხახანაშვილმა გამოსცა პირველი და მეორე ნაწილი ქართული სიტყვიერების ისტორიისა და გააცნო რუსის მეცნიერულ საზოგადოებას უძველესი დროიდანვე მოკიდებული უშრეტი წყარო საქართველოს ერის გონების ნაწარმოებთა, მას შემდეგ რაც ეს წიგნები ევროპის მეცნიერებმა წაიკითხეს, თვით ევროპაშიც მიაქციეს დიდი ყურადღება საქართველოს ძველს მწიგნობრობას. მას შემდეგ გამოჩნდენ ახალგაზდა მეცნიერები, რომელნიც შეუდგენ ქართული ენის მეცნიერულათ შესწავლას და მისი ძველი კულტურული ნაშთების გაცნობას. ამ შემთხვევაში გაბედვით შემიძლია ვთქვა, რომ არც ერთს ქართველ მეცნიერს და მოღვაწეს იმდენი დამსახურება არ მიუძღვის თავის ერის წინაშე, როგორც ალ. ს. ხახანაშვილს. ამ ახალგაზდა ქართველმა მეცნიერმა მთელი თავისი ნიჭი, ღონე და ძალა მოანდომა სამშობლოს გონების საუნჯის შესწავლას იმ განზრახვით, რომ შემდეგ უცხო ენაზე გამოექვეყნებინა მთელი ორი ათასი წლის კულტურული მოძრაობა საქართველოს ერისა და მისი დამსახურება კაცობრიობის წინაშე. იმას ამითი ჰსურდა ევროპის ძლიერ ერთა-შორის აღეძრა თანაგრძნობა და სიყვარული ჩვენი პატარა ერისადმი, რომელიც აქამდის დავიწყების ჩრდილ ქვეშ იყო მიმალული და უცხო ტომთა გამველელ-გამომველელი მეცნიერი მხოლოთ წიხლავდა მას, ველურ ხალხს ეძახოდა და გონებითი სიცოცხლის ულირსათ მიაჩნდა. მაგრამ დღეს სულ სხვაა. ევროპის მეცნიერებმა შეიტყვეს, რომ საქართველოს ერი მართლაც ღირსშესანიშნავი ყოფილა თავისი წარსულით, მისი მდიდარი ლიტერატურით, ხუროთმოძღვრებით, საერო პოეზიის მინუშებით, რომელნიც ჯერ კიდევ არ არიან საკმაოთ დაფასებულნი, მაგრამ შესაძლებელია კი, რომ ეს კულტურის ნაწარმოებნი ყოფილიყონ ევროპის გონების განვითარებისთვის მისაბაძავ წყაროთ, საშუალ საუკუნოებისა და მათი აღორძინების ხანებში. ახლა ქართულმა მდიდარმა ლიტერატურამ ძველი დროისამ იმდენათ მიიქცია ევროპის ყურადღება, რომ თვით საქართველოს ერი არავის ხელწამოსაკრავათ აღარ არის და მოსალოდნელიც არის მალე ის დრო, როცა ევროპის ძლიერი სახელმწიფოები ისეთივე თანაგრძნობით შეაქქროდენ ქართველებს, როგორც ბერძნებს და სამხრეთის სლოვენთა ერებს. თუ ვინმე ყოფილა ჩვენში ასეთი საქმის მიზეზი, ა. ს. ხახანაშვილი პირველ თაგანი უნდა იყოს. ამისთანა დამსახურებისათვის მარტო სურვილი და გულის წადილი არ კმაროდა, საჭირო იყო საოცარი შრომა ქართული ლიტერატურის წყაროების შესწავლისათვის. მართლაც ამ ოც-და-ათი წლის განმავალობაში, რომელიც იწოდება ქართველი ერის გონების აღორძინების ხანათ, ბ-ნ ა. ს. ხახანაშვილს არა გამოპარვიარა ქართულსა და უცხო ქვეყნის ლიტერატურაში საქართველოზე რომ რამე დაწერილიყოს და იმას არ შეესწავლოს, არ შეეკრიბოს თავისი ღირსეული თხზულებისათვის.

გაბედვით შემიძლია ვთქვა, რომ მისთანა ნაკითხი და მცოდნე ქართული ლიტერატურისა და მწიგნობრობისა ჩვენ ამ ჟამათ ძვირათ თუ ვინმე გვყავს და მართლაც მხოლოთ ამისთანა დახელოვნებულ ქართველ მეცნიერს შეეძლო ისეთი წიგნების დაწერა და მეცნიერებისათვის გამოქვეყნება, როგორიც მან შეთხზა.

საქართველოს სიტყვიერების ისტორიის განხილვა ჩვენ ჯერ არა გვქონია და, როგორც პირველი ცდა ასეთი შრომისა, შესანიშნავათ და საუცხოოთ არის ასრულებული. ჩვენ იმას არ ვიტყვით, რომ ხახანაშვილის თხზულებას ნაკლულევანება არა ჰქონდეს რა, ან საკმაოთ იყოს დასრულებული; მაგრამ საქმე ის არის, რომ რაც აქამომდე წერილობითი საბუთები გამოქვეყნებულა ქართულსა და უცხო ენის ლიტერატურაში, ყველა აქეს ბ-ნ ხახანაშვილს თავის ორ წიგნში მოხსენებული, ასე რომ მისი წიგნები წარმოადგენენ მეცამეტე საუკუნის დამდეგამდის ქართული სიტყვიერების ისტორიის ძვირფას მასალა კრებულს. იმათი განხილვა და გადაშინჯვა, ყოველ უცხო ტომის მეცნიერს სიამოვნებით დააჯერებს, რომ

საქართველოს ერს მრავალი საუკუნოები გონების-განვითარებაში გაუტარებია და კაცობრიობის განვითარების ისტორიაში შესანიშნავი კვალი დაუჩენია.

ბ-ნი ა. ს. ხახანაშვილი თავის პირველი წიგნის შესავალში აი, რას ამბობს: მთელი ჩვენი განხილვა ქართული სიტყვიერების ისტორიისა გამოვა ოთხ წიგნათ. პირველ წიგნში მოთავსებული იქნება საერო ეპოსის ნაწარმოებნი და აპოკრიფიული თხზულებები ქართულ ენაზე; მეორე წიგნში იქნება ვრცლათ მოთხრობილი ქართული მწიგნობრობის ისტორია უძველესი დროიდან მოკიდებული მეთორმეტე საუკუნის გასვლამდე. მესამე წიგნში იქნება მოთავსებული მწიგნობრული საბუთები მეცამეტე საუკუნიდან დაწყებული მეთვრამეტე საუკუნის გასვლამდე. ამ მესამე წიგნშივე იქნება შეტანილი ის მასალები წინანდელი ხანებისა, რომელნიც ვერ მოთავსებულან მეორე წიგნში. ხოლო მეოთხე წიგნი შეიცავს ახლანდელი დროის ქართული ლიტერატურის ისტორიას, რომელიც თან მოჰყვა რუსეთის უფლების დამკვიდრების დროიდან მოკიდებული მთელ მეცხრამეტე საუკუნეს".

გ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)

„ვ ს ც ხ ო ვ რ ო ბ თ!..."

(5.—800.)

I.

ჩხირი კედელს, ჩხირი კედელს!—წამოიძახა გულწრფელის სიმხიარულით ერთმა ჩემმა კარგმა ნაცნობმა, როდესაც მე და ვანო ცხენებით კარს მივადექით, და საჩქაროთ აივნიდგან კიბის საფეხურები ჩამოთვალა.

— ძლივს არ იკადრე ჩემი ქოხი და მოხვედი! —ამ სიტყვებით მარცხენა ხელი ცხენს სადავეში წაავლო და მარჯვენა კი მე გამომიწოდა.

— ჩამოხტი, რაღას უყურებ?!—შემომძახა და გადმომწია.

— მეჩქარება, ფეხად მინდა გავბრუნდე—გავეხუმრე და ცხენის გაბრუნება დავაპირე.

— შენ არ მოუკვდე შაქროს, რომ იმან დღეს აქედგან არ გაგიშვას!

— ბიჭო, ბიჭო, სად ჯანაბას დაიკარგე?!—მიტრიალდა და ბიჭს ძახილი დაუწყო. ამ დროს ცხენის სადავეს კი ხელს არ უშვებდა.

— გაგეხუმრე, თორემ ჯოხითაც რომ გაგდება დამიპირო, მაინც აქედგან არსად წავალ.—ვუპასუხე სიცილით და საჩქაროთ ცხენიდგან ჩამოვხტი.

„ვანოსაც უკვე განთავისუფლებინა ცხენი, მათრახის ტარს წაღის ყელს უბარტყუნებდა და ძირს ჩაიცქირებოდა.

— მართლა, შაქრო, ე კაცს კი ვერ [illegible]რო ყურადღებას არ აქცევ?!—მივუთითე ვანოზედ, თვალი რომ მოვკარი.

— შენზე ადრე ვანო გავიცანი.—მკვახეთ მიპასუხა და ბოდიშის მოხდით ვანოს ხელი ჩამოართვა.

„შაქროს ყვირილზედ ბიჭი ჩოხის ძველით, შმუშნით გამოვიდა ძირის სახლიდგან და ცხენები ჩამოგვართვა. ჩვენ კი შაქროს წინამძღოლობით კიბეს შევუდექით და საფეხურების ჭრიჭინით და წრიპინით ჩქარა აივანზე მოვექეცით. აივანმაც აგრევე ჭრიჭინ-წრიპინით მიგვიღო. შაქრო თავისებური ხმაურობით ოთახში შევიდა, ჩვენ კი აივნის მოაჯირს მივეყრდენით და, ჩვენდა უნებურად, აივნის პირდაპირ ამართულმა კლდემ თვალი მოგვტაცა.

— რა კაი სანახავი რამ არის!—აღტაცებით წამოიძახა ვანომ და გაჩუმდა.

„მეც ეგევე უნდა მეთქვა, მაგრამ იმან დამასწრო.

„მართლადაც კედელსავით ჩამოლესილი კლდე, უზარმაზარი კლდე, რომლის წვერიც ტყითა და მოლით იყო შემოსილი, საუცხოვო სანახავს წარმოადგენდა. შიგ ძირში კიდევ არაგვის ყვირილი ხომ სულ ამშვენებდა.

— პოეტნი ყოფილან ჩვენი წინაპარნი, რომ ამისთანა მშვენიერ ადგილას ეკკლესია აუშენებიათ! აგერ, ვერ ჰხედავ, აი, იმ ხის იქით, კლდის კალთაზედ ეკკლესიას? აგერ, გამოქვაბულებიც! უთუოდ საბერო იქნებოდა..—ჩაილაპარაკა ვანომ ცოტა ხნის შემდეგ.

— არც ეხლანდელი ჩვენი გლეხები ყოფილან ნაკლები. ვერ ჰხედავ, იქავე ახლოს, ველზედ, როგორ მოთავსებულა პატარა სოფელი!—ვუპასუხე მე და ხელით ტყეში გამონასკულ გლეხის სახლებზე მივუთითე.

— ღმერთმანი, შალვა!—მომიბრუნდა ვანო და თვალებში შემომაჩერდა: აღტაცებაში მოვდივარ, როდესაც ამისთანა სურათს ვხედავ და მთლად მადლობად გარდვიქმნები ხოლმე ჩვენ წინაპრებისადმი. მინდა მუხლის თავებზედ დავეცე და თაყვანი ვცე იმათ, რომ ეს მშვენიერება, ეს დიდება ჩვენვე გადმოგვცეს.

— უკაცრავად, უკაცრავად!—გამოვიდა ამ დროს შაქრო და ლაპარაკი შეგვაწყვეტინა: თავი მიგანებეთ, მაპატიეთ! ჩემი კნეინა ცოტა შეუძლოთ არის და მე ვდიასახლისობ. უთუოდ გეშიებათ?

— არც უმაგისობაა.—ვუპასუხე მე: ამ მშვენიერმა ბუნებამ მშვენიერი მადა მომგვარა.

— ვაი, გამიწყრა ღმერთი!... მაშ რიღათი დაგაძღოთ?

— მე ჩემ მხრივ—მიუბრუნდა ვანო შაქროს; პირობას გაძლევ, ერთი გოჭისა და ნახევარ ინდოურის მეტს არ შევჭამ.

— სვავი ხარ, შე ოჯახქორო, თუ რა?!

— დალევით კი თუნგ-ნახევარზედ მეტს არ დავლევ.

— ღმერთი გამიწყრეს, ვანო, თუ თუნგ-ნახევარზედ მეტი ღვინო მქონდეს!

— მაშ, ჩემო შაქრო, სხვა მასპინძლის მოძებნა დამჭირდება!—ვუთხარი მე და ხელი გავუწოდე: რაც ვანომა სთქვა ორი მაგდენი მე დამჭირდება.

— ოი, ჩაგექცეთ მუცლები!... თქვე ოჯახქორებო, წინად მაინც შემატყობინებდით, რომ მომემზადებინა რამ. აბა, ახლა რა თავში ქვა ვიცე?!

— არა უშავს რა, შენ ვანო დაიტოვე, მე კი ჩემ თავს მოვუვლი.

— ჰაი, დედასა!.. მაშ შაქრო მოგიკვდეთ, თუ ღვინოში არ ჩაგაღრჩოთ!

— დაღრჩობა რომ მინდოდეს, აგერ, არაგვი აქ არ არის!.. ჩვენ მხოლოთ ღვინის დალევა გვინდა.—ვუპასუხე მე და ისევ ჩვენ პირდაპირ კლდეს მივუბრუნდი.

— მოგწონს, შალვა, ეგ ადგილი?!.. ამას წინად ერთი ფრა`გი მეწვია და კინალამ გადირია, ისე მოეწონა.

— მე ფრანგი არა ვარ, მაგრამ მეც ლამის არის გადამრიოს.

— საქართველოს ყველა კუთხეები რომ დაიარო, ამისთანა სიმშვენიერეს ვერსად ჰნახავ!.,.

— მაგას ნუ იტყვი, ჩემო შაქრო! მე დამივლია: ქართლი, კახეთი, იმერეთი და ამ არაგვის ხეობას ხომ ჩემი ხუთი თითისავით ვიცნობ და, სწორედ გითხრა, დაბეჯითებით ვერ გიპასუხებ, რომელი უფრო მშვენიერია. ყველგან არის საუცხოვო ბუნების სიდიადენი, ყველგან თავისებური სიმშვენიერე აქვს, და, არ იცი, უპ რატესობა რომელს მისცე. ის გხიბლავს, გიმონავებს, რომლის წინაც სდგეხარ და შესცქერი, და გავიწყებს დანარჩენებს.

— ეგ ტყუილია. ამისთანა მშვენიერება არსად არის! ეს თითონ ფრანგმა აღიარა ..

— ფრანგმა ეგ აღიარა, მე კიდევ რაც გითხარ, იმას აღვიარებ. ეხლა შენ იცი, რომელსაც ამოირჩევ.—ცოტა დაცინვის კილოთი ვუთხარი და აივნიდგან გადავავლე თვალი კარმიდამოს.

„სათონე, ბოსელი, ბაკი, ბოსტანი, ურემი, შემა სულ ერთმანეთში იყო არეული. ჩვეულებრივი, ქართველური უწეს-რიგობა ეტყობოდა ყოველივე ამას.

შაქრომ და ვანომ, მგონი, საქართველოს ბუნების სიმშვენიერეზედ განაგრძეს ბაასი. არა გამიგია რა. მე კი, შაქროს კარმიდამოს დათვალიერების დროს, ჩემდა უნებურად, წარმომიდგა თვალ წინ ჩემი, ჩემს მოგონებასთან შესისხლ-ხორცებული, კარმიდამო. ცხადად ვხედავდი აგეთსავე კარმიდამოს, ასეთსავე ალუფხულს, როგორც შაქროსი იყო და შიგ კიდევ მოთამაშე, მოხითხითე და-ძმათ. ახ, რა ნეტარი, გულ-წრფელი სიცილი მომესმა!.. არავითარი ზადი მას არ ეტყობოდა. პატარა შალვა ემასხრებოდა თავის დას.

„სურათი სურათით იცვლებოდა. მომქმედ პირებად და-ძმანი იყვნენ. ვხედავდი იმათ, ხან ცეცხლის მფრქვეველთ, ხან მთლად სიყვარულად გარდაქმნილთ, ხან კიდევ რწმენით აღჭურვილთ და კიდევ სასოწარკვეთილთ.

მთლად წინ გადამეშალა პატარა შალვას წარსული და ვხედავდი, როგორ თან და თან იმედი იმედზედ უცრუვდებოდა, როგორ თან და თან ეჭვი ეპარებოდა, სახე ელარუოდა და ბოლოს მომიახლოვდა, შაქროს კარმიდამო შემოლახა, აივანი აჰრიალა და მთლად განადგურებული უეცრივ შემომიერთდა.

— ფუუ! —გველსავით დავიკლაკნე ამის შემდეგ და უეცრივ მოვტრიალდი, თითქოს მინდოდა ის შალვა განმედევნა, რომ იმედი, ძალა ჩემთან შემოერთებით ცოტად კიდევ მბჟუტავი სული არ ჩაჰქრობოდა.

— გეყოფა ამ სიმშვენიერის ჭვრეტა! ეხლა დროა ჩვენი მოვალეობის აღსრულებას შევუდგეთ! —მიტრიალების უმალ მკლავში ჩამავლო ხელი შაქრომ და ოთახისკენ გამწია.

— ჰა?! . რა მოვალეობისა?—დაბნევით შევეკითხე.

— რა მოვალეობისა და... რასაც კუჭი გვავალებს. სანამ შენ ამ სიმშვენიერით სტკბებოდი, მე და ვანომ სადილი მოვამზადეთ.

— ჰოო!..—არ ვიცი კია რად წამოვიძახე „ჰოო“ და ოთახში შევყევი. ვანო და ერთი უცნობი გლეხი უკვე მოსხდომოდნენ გაშლილ სუფრას, გლეხი ჩემ შესვლაზედ ფეხზე წამოდგა და მომესალმა.

— იცი, შალვა, ეს განგებ მოვიპატიჟე, მშვენიერი სიმღერა იცის.

— ერთმა რა უნდა გააწყოს? ერთს ორი კიდევ სხვა უნდა.—ვუპასუხე მე.

— აქ არა ვართ?...—წამოიძახა შაქრომ.

— ჩემი იმედი კი ტყუილად გქონია და ვანოსი კი არა ვიცი რა.

— ცოტათ, შენ ამოიღებ ხმას, ცოტათი მე, ცოტათი კიდევ ვანო და ამით საქმეს წინ წავწევთ.

— აკი გეუბნები, ჩემი იმედი ტყუილად გაქვს. მე რომ ხმა ამოვიღო, მაშინ ან თქვენ გახვალთ გარედ და ან კიდევ მე.

— ჯერ შაქროს წითელი ღვინო იგემე და მერე ჰნახამ, რა ხმაც მოგივა.—წაილაპარაკა გლეხმა და ულვაშებში ჩაიცინა.

— ჰა, ჰა, დაიწყე, ხორველის ანგელოზო?! სიცილით ჰკითხა შაქრომ.

„მალვით შევხედე ჩემ პირ-და-პირ მჯდომ გლეხს, ავათვალიერ-ჩავათვალიერე და მთლად კითხვის ნიშნად გარდავიქეცი. ცოტა მაღალი შუბლი, კლასიკური ცხვირი, დიდრონი, გონიერული თვალები და ჭაღარა თმა და წვერი ამშვენებდნენ გლეხის სახეს. „ამას ნამდვილი ანგელოზი უფრო უნდა უწოდონ, ვიდრე ხორველისა“ გავიფიქრე ჩემდა უნებურად და პურის ჭამას შევუდექი.

Доз. ценз. Тифлисъ, 31 Октября 1898 г. Тип. М. Д. Ротиньянца—Головинск. пр. д. № 41.

„პირველში მოწყენილი სუფრა თან და თან გამხიარულდა. მართლა და შაქროს მშვენიერი ვემოს წითელმა ღვინომ ზედ გავლენა იქონია. ყველას გული სასიამო გრძნობით აავსო და, რასაკვირველია, შესაფერი ხმები გამოაცემინა. მეკი, ღვთის წინაშე, ეშმაკ ბდი ხმის ამოღებას, რადგანაც ჩემი ხმა ჩემ გრძნობებთან შემომწყრალია. რაც უნდა სპეტაკი, დიდი გრძნობით ვიყო გამსჭვალული, მაინც ჩემი ხმა შესაფერად არ მოეწყობა. თუ ხმა ამოვიღე, მაშინვე მსმენელმა, თუ პირ-და-პირ არ წამოიძახა: „რას ყროყინებსო“, გაიფიქრებს მაინც, ამას გაიფიქრებს, და, აბა, ყროყინით კი შენი გრძნობის სინაზეს როგორ გამოსთქვამ?!.

„სუფრული, მრავალ ჟამიერ და მრავალი სხვა არაგვისპირული სიმღერები საუცხოვოთ შეასრულა „ხორველის ანგელოზმა“ თავის ნაზი, ტკბილი ხმით. შაქრო და ვანოც კარგად უწყობდნენ ხელს, ბოლოს ჩაახველა, ხმა ამოიწმინდა „ხორველის ანგელოზმა“ და „მთაო გადმიშვი, გადმიშვი...“ ტკბილათ, გრძნობით აღსავსე ხმით ნიავსავით შემოგვეპარა და უეცრივ მთლად შემბოჭა, შემიპყრო. ვანო და შაქრო დაბალ, სულ დაბალ, უჩინარ ბანს ეუბნებოდნენ და უერთებდნენ „ხორველის ანგელოზის“ ხმას. აჰ, რა ტკბილი და ამასთან მწვავე, ჯოჯოხეთის ცეცხლი ამენთო გულში?!

„ის მღეროდა გულ-ამოსკვნით, გულ ამოსკვნით ევედრებოდა მთას, რომ გადაეყარა ნისლი, გზა გადაეწმინდა, რომ მთის იქით გადასულიყო და დაენახა თავისი სატრფო, რომელიც სხვის მკერდს დაჰკროდა. მეც ამავე დროს ვევედრებოდი ზეცას, განგებას, ბუნებას; ვევედრებოდი გულ-ამოსკვნით, რომ მთლად გრძნობად, სიყვარულად გარდავქმნილიყავ და შევერთებულიყავ ჰაერს, რომ გადამელახა მთა, ღრე, ტყე და ველი; ყველა გამეთბო, მკვდრეთით აღმედგინა და იმის გულსაც შევხებოდი. იქნება გაციებული, გაყინული გული მაშინ მაინც გალხვოდა და...

„მაგრამ ვხედავდი: ზეცა, განგება, ბუნება დამუნჯებულიყო, გული გაჰყინვოდათ ისე, როგორც იმას და ჩემ მხურვალე ვედრებას, სასოწარკვეთილების ყურადღებას არ აქცევდნენ. „ვხედავდი ჩემს უძლურებას, სიმჩატეს და ჩემი თავი მევე შემეზიზღა, გა[..]ცამტვერე და... ნიავსავით მისუსტდა, მისწყდა „ხორველის ანგელოზის“ ხმა და მასთან ძობანეებისაც.

— ჰოო, გიშველა ღმერთმა, ჩემო ხორველის ანგელოზო!—წამოიძახა შაქრომ და ჭიქები შეავსო.

— „შაქროს სიტყვებმა გამომარკვიეს. მეწყინა, რომ შაქრო ამისთანა მომღერალს და მშვენიერი სახის ადამიანს „ხორველის ანგელოზს“ ეძახდა.

— თუ ძმა ხარ, შაქრო!—მივუბრუნდი იმას და ნაღვლიანი ხმით მივმართე: აბა, რა საკადრისია, ამისთანა ადამიანს „ხორველის ანგელოზს“ უწოდებ?!

— ხა, ხა, ხა!..—პასუხად გულ-წრფელი ხარხარი მომახალა პ-რში და განაგრძო: ჩემი რა[...]ლია, კაცო, როცა თავის თავს თითონვე „ხორველის ანგელოზს“ უწოდებს?!

„დაგვიანებულმა სადილმა დიდხანს გასტანა. ბიჭმა რომ სანთლები შემოიტანა, მაშინღა მივაქციე ყურადღება, რომ შებინდებულიყო და სუფრას ძლივას ღა ვარჩევდი.

— დროა სადილი გავათავოთ!—წამოვიძახე და ადგომა დავაპირე.

— მოიცა, თუ ღმერთი გწამს, რა დროს ადგომაა! ჯერ, აი, სიმონას ვაამბობინოთ, როგორ დაერქვა ხორველის ანგელოზი! სიმონ,—მიუბრუნდა ახლა სიმონას: ერთი ამათ უამბე შენი თავგადასავალი!...

— შენ თითონ უამბე, ხომ იცი. უპასუხა სიმონამ და თამბაქოთი ჩიბუხს ტენა დაუწყო.

— არა, სიმონ, შენ კარგათ მოჰყვები ხოლმე.

„მე ძალიან მინდოდა გამეგო, თუ რათ დაერქვა „ხორველის ანგელოზი“ ამ სიმპატიურ ადამიანს და ამისთვის მეც ჩემის მხრივ ვთხოვე.

შ. არაგვისპირელი.

(შემდეგი იქნება).

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! გიგზავნით განსვენებული ეგნატე ნინოშვილის გაყიდული სურათების შემოსავალს, ჩვიდმეტ მან. და თხუთმეტ შაურს, და გთხოვთ გადასცეთ განსვენებულისავე ბიძაშვილს, რომლის სასარგებლოთაც არის გამოცემული ჩემ მიერ ზემოხსენებული სურათი.

23 ოქტომ. 98 წ. სოფ. ჩხარტიშვილისა.

რედაქციამ ეს ფული მიიღო და მიუმატა იმ ფონდს, რომელიც ეგ. ინგოროყვას ბიძაშვილის ასაღზრდელათ არის დანიშნული.

„კვალის“ ფოსტა.

ბ. ნიკოლოოზ ესტატიძეს: თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება. ბ. — ს—ის: თქვენი ლექსი „ოცნება“ არ დაიბეჭდება.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 31 Октября 1898 г. Тип. М. Д. Ротиніанца—სტამბა. მ. დ. როტინიანცისა Гол. пр. д. № 41.